ხელშეკრულება № 70

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 19 აპრილი 2019 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,სპორტმშენსერვისი" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ტყეშელაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ბრიკო კავკასუსი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი"–ს შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: შპს „სპორტმშენსერვისი"-ს ბალანსზე რიცხულ „ოლიმპიურ აუზზე" 30 მეტრი შლანგის 50მმ **CPV 44165100** შესყიდვა;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **350 (სამასორმოცდაათი) ლარი;**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება, ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში,მიმწოდებლის მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის #8;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

შემსყიდველი მიმწოდებელი

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: პაატა ველთაური;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – კახაბერ ტაბატაძე;)

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი"-ს წარმომადგენელი კახაბერ ტაბატაძე;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

შემსყიდველი | მიმწოდებელი

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7,2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი | მიმწოდებელი

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშიშედისმისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 25 ივნისის ჩათვლით;

13. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ **საიდენტიფიკაციო კოდი:** 204878542 **მის:**ქ.თბილისი, ჭავჭავაზის გამზ.#49ა **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „ტერა ბანკი“ **ბანკის კოდი:** TEBAGE 22 **ანგარიშის ნომ:** GE08KS0000000360800806	**შპს „ბრიკო კავკასუსი“** **საიდენტიფიკაციო კოდი:** 405067494 **მის:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #77 **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს ბანკი “თიბისი ბანკი“ **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ანგარიშის ნომ:** GE26TB7009036150100002

დირექტორი: თ.ტყეშელაშვილი

დირექტორი: მ. დოლიძე

APPROVED
By M. Dolidze at 4:48 pm, Apr 19, 2019

შემსყიდველი

მიმწოდებელი